

შპს დოგ ტექნოლოგი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. ძირითადი საშუალებები.....	9
6. სესხები.....	10
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	10
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
9. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	11
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
ფული და ფულის ექვივალენტები	4	44,361	130,763
გაცემული ავანსები		5,274	14,055
საგადასახადო აქტივი		1,325	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		50,960	144,818
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	42,023	40,959
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,023	40,959
სულ აქტივები		92,983	185,777
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		6,609	8,863
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	2,786
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,609	11,649
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	6	-	42,894
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	42,894
სულ ვალდებულებები		6,609	54,543
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		204,157	196,489
გაუნაწილებელი მოგება		(117,783)	(65,255)
სულ საკუთარი კაპიტალი		86,374	131,234
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		92,983	185,777

დირექტორი



ალექსი არეფევ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
	ა		
შემოსავალი	7	742,418	5,773,660
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(254,932)	(7,115,503))
საერთო მოგება/(ზარალი)		487,486	(1,341,843)
მოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(186,761)	(364,415)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(349,502)	(235,049)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	5	(8,106)	(6,207)
სხვა შემოსავლები		605	8,545
სხვა ხარჯები		-	-
მოგება/(ზარალი) პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(56,278)	(1,938,969)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		3,750	(59,884)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(52,528)	(1,998,853)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(52,528)	(1,998,853)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	-	1,933,598	1,933,598
საწესდებო კაპიტალის ზრდა	196,489		
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,998,853)	(1,998,853)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	131,234	131,234
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7.668	-	7.668
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(52,528)	(52,528)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	138,902	(52,528)	86,374

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ღოგ ტექნოლოგი დაფუძნდა 2023 წლის 24 მარტს. კომპანიის მისამართია: ქალაქი ხაშური, თამარ მეფის ქუჩა N14, ბ. N3. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 443871972.

კომპანიის 100% წილის მფლობელს და დირექტორს წარმოადგენს ალექსეი არეფევ (პ/ნ 76 4513728).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით – ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გააღწიებს იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს გერიგორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამთმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ ღანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიგანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწვევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის ღარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის ღარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის ღარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ამ ანგარიშგების თარიღისთვის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების მომსახურების ვალები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გათვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან მარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადამფუძვო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად გარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოიანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და აღმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის ღირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებათა დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ გიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად აქვს განთავსებული საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ასე გამოიყურება:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,761	95,864
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,600	34,899
სულ	44,361	130,763

5. ძირითადი საშუალებები

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	36,911	7,668	44,579
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12,808	1,502	14,310
ავეჯი და სხვა ინვენტარი	450	-	450
სულ	50,169	9,170	59,339
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	8,746	6,617	15,360
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	384	1,399	1,783
ავეჯი და სხვა ინვენტარი	80	90	170
სულ	9,210	8,106	17,316

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	36,911	-	36,911
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	12,808	12,808
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	450	450
სულ	36,911	13,258	50,169
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	3,003	5,743	8,746
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	384	384
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	80	80
სულ	3,003	6,207	9,210

6. სესხები

2024 წელს კომპანიამ სრულიად დაფარა დამფუძნებლისგან 2023 წელს აღებული სესხი \$15,949 დოლარის ოდენობით, ნაშთმა წლის ბოლოს შეადგინა 0 ლარი.

მიღებული სესხები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	-	42,894
დამფუძნებლის მიერ გადახდილი სესხი	42,894	
სულ სესხის ნაშთი	-	-

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი, ხოლო რეალიზებული მომსახურების ძირითად დანახარჯს წარმოადგენს თანამშრომელთა ხელფასები.

2024 და 2023 წლის განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი	742,418	5,773,660
შემოსავლები ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისიდან	742,418	5,773,660
სერვისის თვითღირებულება, საიდანაც:	(254,932)	(7,115,503)
თანამშრომელთა ანაზღაურების დანახარჯები	(254,932)	(7,115,503)
საერთო მოგება	487,486	(1,341,843)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	87,337	138,635
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	40,799	126,711
საბანკო ხარჯი	10,068	52,479
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	27,800	27,464
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	19,143	16,817
სხვა	1,614	2,309
სულ	186,761	364,415

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის ღირეულობებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმაგებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	349,502	235,049
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	-	-
სულ	349,502	235,049

10. გრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

10.1 სესხები

2024 წელს კომპანიამ სრულიად დაფარა დამფუძნებლისგან 2023 წელს აღებული სესხი \$15,949 დოლარის ოდენობით, რომლის ნაშთმაც წლის ბოლოს შეადგინა 0 ლარი.

10.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2024 წელს მენეჯმენტზე ღარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 349,502 ლარი, ხოლო 2023 წელს 235,049 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღვილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.